ხაშურის მოამბე

№37 (168) 24 სექტემბერი, ორშაბათი, 2018 წელი

გიწვევთ ყველას ჩვენი ქალაქის დღესასწაულზე!

29 სექტემბერს, ხაშურქალაქობაა, დღე, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეულ მოქალაქეს აერთიანებს დღე, რომელიც ჩვენი სახლის - ჩვენი ქალაქის ზეიმია.

ზეიმი მთელ ქალაქს მოიცავს, ეპიცენტრი კი ცენტრალური პარკი იქნება, სადაც 15 საათიდან უამრავი სანახაობა გელით - გამოფენები, მუსიკალური ნომრები ეროვნული ცეკვები, სპორტული ღონისძიებები... ზეიმის გვირგვინი კი გალა-კონცერტი იქნება, რომელშიც ფოლკლორის სახელმწიფო ანსამბლი „მეტეხი“ და ნიაზ დიასამიძე, თავის ბენდთან ერთად, თქვენს საზეიმო განწყობაზე იზრუნებენ.

გიწვევთ ყველას! ერთად ვაქციოთ ეს დღე დღესასწაულად, ერთად ვიზეიმოთ ხაშურქალაქობა!

მუნიციპალიტეტის მერია

ლუკა მაისურაძე ევროპის ჩემპიონია

მორიგი ტრიუმფი, მორიგი სასახელო გამარჯვება - ლუკა მაისურაძე, ახალგაზრდებს შორის, ევროპის ჩემპიონია! ბულგარეთის დედაქალაქში, ამ დღეებში დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატზე, ლუკამ ყველა მეტოქე ისე ჩამოიშორა, რომ მისი გამარჯვება წამითაც არ დამდგარა ეჭვქვეშ. სხვათაშორის,ფინალი ქართული შედგა,სადაც ლუკას მოწინააღმდეგე მისივე თანაგუნდელი იყო და ეს ორთაბრძოლაც ლუკამ იპონით დააგვირგვინა.

ამ ოქროს ბიჭის სპორტულ კარიერას ჩვენი გაზეთი პატარაობიდანვე ადევნებს თვალს. მისი მწვრთნელები ბეგლარ ხარშილაძე და ბუხუტი ბუხრიკიძე, ჯერ კიდევ 5-6 წლის წინ ამბობდნენ ჩვენთან საუბარში, რომ მას დიდი მომავალი ჰქონდა. გამართლდა მწვრთნელების პროგნოზი და დღეს უკვე ლუკა ქართული ძიუდოს ხვალინდელი დღეა. მისი საქართველოს უფროსთა ნაკრების მწვრთნელებსაც ეიმედებათ და ალბათ, უკვე დათვლილი თვეების ამბავია, როდესაც იგი ამ ნაკრების დირსეული წევრი გახდება, მითუმეტეს, რომ 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში, რომელშიც ლუკა გამოდის, ძალიან ფართო არჩევანი არაა. ლუკას არც შემართება აკლია, არც მონდომება და უკვე არც კლასი, რომ უფრო დიდ მწვერვალებს შეუტიოს. გვჯერა, ასეც იქნება! მანამდე კი, ვულოცავთ მას, მის აღმზრდელებს, სასპორტო სკოლას და მთელს მუნიციპალიტეტს ამ მნიშვნელოვან გამარჯვებას.

წინ, ლუკა! იცოდე, რომ მუდამ შენს გვერდით ვართ და შენი გამარჯვება, მთელი მუნიციპალიტეტის გამარჯვებაცაა!

გ. გოგოლაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №85

2018 წლის 17 სექტემბერი, ხაშური

პრეზიდენტის არჩევნებისათვის №30, №40, №41, №42, №50 საუბნო საარჩევნო კომისიის განსათავსებლად ფართის ქირავნობის თაობაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

პრეზიდენტის არჩევნების ჩასატარებლად, საარჩევნო კანონმდებლობის გათვალისწინებით, არჩევნებში მონაწილეობისათვის სათანადო პირობების შექმნის მიზნით, საჭირო გახდა №30,40,41,42,50-ე საუბნო საარჩევნო კომისიების განსათავსებლად ფართის ქირავნობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 58-ე მუხლის და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ №48 დადგენილებისა და №35 ხაშურის საოლქო საარჩევნო კომისიის 2018 წლის 2 აგვისტოს №28 წერილის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს №30,40,41,42,50 - ე საუბნო საარჩევნო კომისიების განსათავსებლად იქირაოს შესაბამისი ფართი და გააფორმოს ქირავნობის ხელშეკრულებები.
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე. www.khashuri.org ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №86

2018 წლის 17 სექტემბერი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ამორტიზებული/ან და გამოუყენებელი, აგრეთვე დანაკლისში არსებული ქონების ჩამოწერის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებობს ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი მოძრავი ქონება, აგრეთვე სხვადასხვა მიზეზების (სიძველის, მწყობრიდან გამოსვლის, დევნილებისათვის გადაცემის და ა.შ) გამო (თითოეულზე არსებობს შესაბამისი დაწესებულების მენეჯერის ახსნა-განმარტება) არსებობს დანაკლისი ქონებაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 6 ივნისის „ხაშურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ №19 დადგენილების მე-5 მუხლის, ა(ა)იპის დირექტორის 2017 წლის 13 ივნისის №109 წერილის, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 2018 წლის 5 სექტემბრის №2760/02 მოხსენებითი ბარათის და ინდივიდუალური აუდიტორის ლია ცუცქირიძის 2018 წლის 20 ივლისის №41/05-2 და 6 აგვისტოს №42/05-1 აუდიტორული დასკვნების საფუძველზე, განხორციელდეს აღნიშნული ქონების ჩამოწერა/განადგურება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ამორტიზებული/ან და გამოუყენებელი მცირეფასიანი ჩამოსაწერი მოძრავი ქონება დანართი №1-ის შესაბამისად (დანართი №1 თან ერთვის 23 ფურცლად);
2. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ფაქტობრივ მფლობელობაში დანაკლისის სახით არსებული ჩამოსაწერი მოძრავი ქონება დანართი №2-ის შესაბამისად (დანართი №2 თან ერთვის 15 ფურცლად);
3. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას;
4. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი

მუნიციპალიტეტის მერი მოსახლეობის კითხვებს პასუხობს

მუნიციპალიტეტის მერიამ ახალ ინიციატივას ჩაუყარა საფუძველი - ნებისმიერი მოქალაქის კითხვას, რომელიც სოციალური ქსელის მეშვეობით იქნება დასმული, მუნიციპალიტეტის მერი პირადად უპასუხებს. ამ სერვისით უკვე ბევრმა მოქალაქემ ისარგებლა და მისთვის პრობლემურ კითხვებზეც მიიღო პასუხი. ხაშურის მერიას ისეც მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდა მოსახლეობასთან, ახალმა ინიციატივამ კი ეს ურთიერთობა უფრო გააღრმავა და რაც მთავარია, მუნიციპალიტეტის პირველ პირთან დიალოგი ძალზე ადვილად ხელმისაწვდომი გახდა თითოეული მოქალაქისათვის.

დღეს, მკითხველს ამ დიალოგის საგაზეთო ვერსიას ვთავაზობთ

- იოსებ ციცქიშვილი:

–მოგესალმებით, მე ვარ ხაშურის მკვიდრი იოსებ ციცქიშვილი, უნარშეზღუდული, მაქვს სამოსახლო ნაკვეთი ქალაქის მე-4 საშუალო სკოლის მომიჯნავედ. საერთო ღობე, რომელიც სკოლასა და ჩემს სამოსახლო ნაკვეთს ჰყოფს, არის სავალალო მდგომარეობაში. ჩემს მიერ, რამდენჯერმე, წინა პერიოდში, ღობე იქნა გავლებული და შეკეთებული, მაგრამ ამ ბოლო დროს, ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად დამძიმდა და მე აღარ მაქვს ღობის აღდგენის საშუალება, არც ფიზიკური, არც მატერიალური. ღობის ასეთი სავალალო მდგომარეობა საფრთხეს უქმნის სკოლის მოსწავლეების ჯანმრთელობას და არღვევს უსაფრთხოების წესებს, ამავდროულად, ჩემი საკუთრების უფლებაც ხელყოფილია! რამდენჯერმე წერილობით მივმართე ხაშურის მერიას, განათლების განყოფილებას, სკოლის დირექციას, თვითონ ბატონ გიორგი გურასპაშვილს და ეს პრობლემა პრობლემად დარჩა! ახლა ახალი სასწავლო წელი იწყება რამდენიმე დღეში. მითხარით, ვის მივმართო, სად გავგზავნო წერილი, რომ ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს?! დაიცავით ბავშვთა უსაფრთხოება, საკუთრების უფლება და გაითვალისწინეთ ჩემი შეზრუდული შესაძლებლობები! პატივისცემით იოსებ ციცქიშვილი.

- გიორგი გურასპაშვილი:

–ბატონო იოსებ, ამ ეტაპზე სკოლების ინფრასტრუქტურა კვლავ რჩება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში. ჩვენ გვქონდა კომუნიკაცია ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და სკოლასთან, საიდანაც გაირკვა, რომ სკოლამ მისი შესაძლებლობის ფარგლებში გააკეთა გამყოფი ბადე თქვენს ეზოსთან.

- ნათია მალიძე:

–ძალიან მიყვარს ხაშური. ყოველ წელს ვხედავ, როგორ იცვლება და ვითარდება. თუმცა, ამ ზაფხულს გული დამწყდა, როცა ერთ ორგანიზაციას ვესტუმრე, სადაც შშმ და სსმ ბავშვები თავს იყრიან გარკვეული დროის განმავლობაში. “მომავლის სახლი”, ასე ერქვა და გორი აფინანსებდა მათ აქტივობებს. დაქირავებული შენობის ქირასაც კი ის მასწავლებლები საკუთარი ფულით იხდიდნენ. ბიუჯეტის პრობლემა ჰქონდათ. თუ წაახალისებთ და დააფასეთ მათ უზომო შრომას, გამიხარდება. ზოგადად, პიარზე მუშაობაა საჭირო და კარგი გამოწვევაა ეს თქვენი აქტივობაც. წარმატებები.

- გიორგი გურასპაშვილი:

–”მომავლის სახლს” ხაშურის მერიამ უკვე გადასცა საოჯახო კინოთეატრი. ასევე ხაშურის მერიამ უზრუნველყო “მომავლის სახლის” ბენეფიციარების მონაწილეობა ჯომარდობის ტურნირზე ბორჯომში. ვფიქრობთ, რომ ჩვენი პარტნიორობა ამ ორგანიზაციასთან კვლავაც გაგრძელდება.

- ხატია მალიძე:

–ძალიან მიხარია, რომ გვერდში უდგახართ. კიდევ ბევრი კარგი საქმე გაგეკეთებინოთ ხაშურის მოსახლეობისთვის.

ფიქრია: (სამწუხაროდ, გვარი არ არის მითითებული)

–სპორტის ქუჩას, ანუ შინდარას ეშველება რამე? არც წყალი და არც გზა არ გვაქვს, ასეთ მდგომარეობაში ხაშურში არცერთი ტერიტორია არ მეგულება. იმედია, გაითვალისწინებთ და წლები აღარ დაჭირდება პრობლემის მოგვარებას.

- გიორგი გურასპაშვილი:

–წმინდა ნინოს (ყოფილი სპორტის) ქუჩაზე ასფალტის საფარის დაგება შესაძლებელი გახდება მას შემდეგ, როგორც კი განხორციელდება სასმელი წყლის და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაციის და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის პროექტი. (პროექტის დაწყება დაგეგმილია 2019 წლიდან, რომელსაც ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო უცხოური დონორი ორგანიზაციების დახმარებით).

- იოსებ ხაჩიძე:

–ცხრამუხა დიდი სოფელია, მიბმულია ხაშურზე. გზა, კანალიზაცია და წყალი რომ არ არის, და მომავალი წლიდან რომ რაღაც გეგმებია, ეს ინფორმაცია მაქვს. კარგი იქნებოდა, თუ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა შეიმუშავებს სოფლის ქუჩების

(გაგრძელება III გვერდზე)

მუნიციპალიტეტის მერი მოსახლეობის კითხვებს პასუხობს

(გაგრძელება)

და სახლების დანომვრას. მარტო ჩემი სახელით და გვარით სოფელში 4-5 ადამიანის მოძებნა შეიძლება, მათ შორის, მსგავსი მამის სახელებითაც... ფოსტისთვის და სხვა უწყებებისთვის, მათ შორის სასწრაფოსთვისაც, საკმაოდ მოუხერხებელია, როცა ნახევარი საათი გჭირდება იმის ასახსნელად, თუ სად უნდა მოვიდეს ან კურიერი, ან სასწრაფო, ან კომუნიკაციების წარმომადგენლები. მოკლედ, ცხრამუხაში სხვა ყველაფერთან ერთად, ქუჩებისთვის სახელების მინიჭება და სახლების დანომვრაც საჭიროა და იმედია, ოდესმე გაკეთდება.

- გიორგი გურასპაშვილი:

—ბატონო იოსებ, ქუჩების სახელდება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ხოლო დამისამართება - რეესტრის კომპეტენციას. ეს, მოგეხსენებათ, მოითხოვს დროსა და შესაბამის პროცედურებს, რაც დაკავშირებულია ფინანსურ რესურსებთან. თუმცა, სამომავლოდ შესაძლებელია დავიწყოთ მსჯელობა ამ მიმართულებით.

- იოსებ ხაჩიძე:

—გასაგებია, მთელი ცხოვრება ეგრე ვართ, უდროოდ და უფინანსოდ. კიდევ მოვითმენთ, არსად გავრბივართ. მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება, და ოდესმე რამე ალბათ იქნება, მართალი ბრძანდებით.

- მარი ზაქაშვილი:

—მოგესალმებით, მე ვარ ბორჯომის მკვიდრი, რომელიც ხშირად ვსტუმრობ ხაშურს და ძალიან მიყვარს. ერთი თხოვნა მექნება, იმ ტერიტორიაზე, სადაც ბორჯომის სამარშუტო ტაქსები ჩერდება, სადაც ბენზინგასამართი სადგურია და გზა დასავლეთის, თბილისის და ბორჯომის მიმართულებით მიდის, ძალიან ძნელია ფეხით მოსიარულეთათვის გადაადგილება, კარგი იქნებოდა რკინის კონსტრუქციის, ერთი გადასასვლელი საჰაერო ხიდი გაკეთებულიყო, ამისთვის მადლობას გეტყვით ყველა.

- გიორგი გურასპაშვილი:

— საჭიროა ზემოაღნიშნული ინიციატივის განხილვა-შეთანხმება. შემდგომ პროექტის განხორციელების დაგეგმვა შესაბამის სპეციალისტებთან. ამ ეტაპზე შემოვიფარგლებით მხოლოდ ინიციატივის განხილვით.

- მარი ზაქაშვილი:

—მივესალმები, თუკი ჩემს მოთხოვნას გაითვალისწინებთ სამომავლოდ, მადლობა.

- ლია ფილაური:

—არ მინდა, რამე საწყენი ვთქვა...სურამის პატრონი ვინაა? ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩაზე ერთხელ ფეხით თუ აივლით, მიხვდებით, რომ გზაზე მანქანა ვერ დადის, საბავშვო ეტლის საბურავები ვერ დადის, ფეხით დაუხმარებლად ვერ ჩამოივლი, სამარცხვინოა, 21-ე საუკუნეა. ველი პასუხს. 12 ნომერში ვცხოვრობ, შეხვედრაზეც არ ვიტყვი უარს თუ მოხვალთ.

- გიორგი გურასპაშვილი:

—გამარჯობა, ქალბატონო ლია. ბოლო წლების განმავლობაში სურამში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 15-მდე ქუჩას, რისთვისაც დაიხარჯა დაახლოებით 6 მილიონი ლარი. ქუჩების რეაბილიტაციის პროცესი კვლავაც გაგრძელდება და 2022 წლისთვის პრაქტიკულად აღარ იქნება სარეაბილიტაციო ქუჩა.

- ვასილ მუმლაძე:

—გამგეობის მიერ აშენებულ სპორტულ მოედნებს იქვე მცხოვრები მოსახლეობა რომ ანადგურებს , დენს ჭრის და ა.შ რატომ არ აქვს ამაზე გამგეობას რეაქცია?

- გიორგი გურასპაშვილი:

—ბატონო ვასილ, ამ მეტად მტკივნეული პრობლემის მოგვარებაში საზოგადოების ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. იმისთვის, რომ დამრღვევთა მიმართ გატარდეს კანონის ფარგლებში გათვალისწინებული სადამსჯელო ღონისძიებები, აუცილებელია დამრღვევი პირების გამოვლენა. ჩვენს მიერ თითქმის ყველა საერთო საცხოვრებელ ბინასთან (კორპუსებთან) შექმნილია ამხანაგობები და თუ ისინიც გვერდით დაგვიდგებიან პრობლემის მოგვარებასა და პასუხისმგებლობის გადანაწილებაში, ძალიან კარგი იქნება. ქალაქის იერსახის შენარჩუნება თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობაა. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს საზოგადოების თანადგომის ამ მიმართულებითაც.

- ხათუნა:

—ბექაურის ქუჩას ეშველება რამე? რამდენჯერ მოვითხოვეთ მოსახლეობამ, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება. ცოტახანში მანქანით გავლა შეუძლებელი იქნება. გთხოვთ, მოგვაქციოთ ყურადღება.

გიორგი გურასპაშვილი:

—ბექაურის ქუჩის მოასფალტება შესაძლებელი გახდება მიწისქვეშა კომუნიკაციების (წყალი, კანალიზაცია) მოწყობის შემდეგ, რომელ პროექტებსაც, ქ. ხაშურის მასშტაბით, განახორციელებს (2019-2020 წლებში) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო უცხოური დონორი ორგანიზაციების დახმარებით.

- ზურა წიქარიშვილი:

—რამდენად უჭერს მხარს ხაშურის მერია სკოლის მოსწავლეებისთვის გამართულ არაფორმალური განათლების პროექტებს და სრულყოფილი გეგმის შემოთავაზების შემთხვევაში, გამოთქვამთ თუ არა მზაობას განიხილოთ ეს საკითხი და დააფინანსოთ ხაშურის რჩეული მოსწავლეებისთვის არაფორმალური საგანმანათლებლო პროექტები, როგორიცაა ევროკავშირის მოდელირება, ნატოს ახალგაზრდული სამიტი, გაეროს საბჭო და სხვა.

- მიშა გიორგაძე: არა მხოლოდ საპროექტო განაცხადი, არამედ არაფორმალური განათლების ხელშეწყობის პროგრამის პროექტიც უნდა წარუდგინოთ, ჩემი აზრით. არაფორმალური განათლებისკენ მიმართული პროგრამა მუნიციპალეტეტის ვებგვერდზე ვერ ვნახე. ჰაერივით საჭიროა და ადეკვატურ პასუხს ველოდები თქვენთან ერთად მერისგან. წარმატებებს გისურვებთ!

- გიორგი გურასპაშვილი:

—მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურს უკვე აქვს გამოცდილება ევროკავშირის მოდელირების პროექტების მხარდაჭერის მიმართულებით. ასე, რომ ჩვენ მზად ვართ განვიხილოთ თქვენი შემოთავაზება.

გთხოვთ, დაუკავშირდეთ მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურს.

- მარი ლომიძე:

—სპორტკომპლექსის გამო, ასათიანის ქუჩა გადათხარეთ, გაზაფხულზე კანალიზაციის მილებს რომ გაევლო,მას შემდეგ, სასმელი წყალიც აღარ მოდის და ქუჩაც საშინელ მდგომარეობაშია. იმდენად დიდი ორმოები დატოვეს, მანქანებს გავლა უჭირთ ნაწვიმარზე, იმ პირობით გაიჭრა ეს ქუჩა, რომ ასფალტი დაგებულიყო და თუ ეს დაპირება არ სრულდება, მოხრეშეთ მაინც. შეუძლებელია გავლა ნაწვიმარზე და სასმელი წყლის პრობლემაც იქნებ გადაიჭრას.

- გიორგი გურასპაშვილი:

— გამარჯობა. ხაშურში, ასათიანის ქუჩაზე დაგეგმილია უახლოეს პერიოდში გზის მოხრეშვითი სამუშაოების წარმოება, ხოლო სასმელი წყლის მიწოდების პრობლემის მოგვარების შესაძლებლობას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია განიხილავს "გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან".

- თორნიკე ზაზიკაშვილი: სტუდენტი ვარ. ამავდროულად, სოციალურად დაუცველი, მაინტერესებს, ერთჯერადად დახმარება თუ შეგიძლიათ?

- გიორგი გურასპაშვილი:

— ხაშურის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამის შესაბამისად, თუ თქვენ რეგისტრირებული ბრძანდებით ხაშურის მუნიციპალიტეტში და ირიცხებით სოციალურად დაუცველთა რიგებში, ხოლო თქვენი ქულა არ აღემატება 65 000-ს, მაშინ მუნიციპალიტეტი გაგიწევთ ერთჯერად ფინანსურ დახმარებას. გთხოვთ, მოაკითხოთ მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურს.

- ნინო ზუბაშვილი: დღემდე არ არის გაკეთებული საკათედრო ტაძრამდე მისასვლელი გზა აღმაშენებლის ქუჩიდან, სადაც კოშკიც მდებარეობს და რატომ არ ხდება გზისა და კოშკის მოწყობა?

(დასასრული IV გვერდზე)

მუნიციპალიტეტის მერი მოსახლეობის კითხვებს პასუხობს

(დასასრული)

- გიორგი გურასპაშვილი:

– ქ. ხაშურში ისტორიული კოშკის და მონასტრამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის პროექტი შემუშავების პროცესშია და სამუშაოების დაწყება გათვალისწინებულია 2018-2022 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

ხაშური ჩემი ქალაქია:

1. საინტერესოა, ბატონო გიორგი, ის ფაქტი, რომ დღემდე ინახავთ აიპებში ისეთ ხალხს, რომლებიც ხელფასს არაფერში იღებენ,რატომ? 2. იქნებ უთხრათ მოსახლეობას თევდორე მღვდლის ქუჩაზე სანიაღვრე უკვე 3 წელია რომ პირდებით ხალხს და დღემდე გაუკეთებელია,რატო გადადეთ? არ დაგავიწყდეთ და მაგ სანიაღვრის გამო, სოციალურად დაუცველი მოსახლეობა იტბორება. 3. სტადიონის პროექტს რომ გვიფრიალებთ, როდის იწყება სტადიონის მშენებლობა?

- გიორგი გურასპაშვილი:

– თევდორე მღვდლის ქუჩის მონაკვეთზე არსებული პრობლემის შესახებ ცნობილია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისთვის. ამ ეტაპზე, სპეციალისტებთან ერთად, მიმდინარეობს განხილვა ტექნიკურად სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობების და საპროექტო სახაჯრთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების თაობაზე, რის შემდგომაც, განიხილება პროექტის დაფინანსება. ცენტრალური სტადიონის მშენებლობის პროექტი მომზადებულია და განსახილველად წარდგენილია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში. აღნიშნულმა ორგანიზაციამ უზრუნველყო მშენებლობის პროექტის დასაფინანსებლად წარდგენა მსოფლიო ბანკში და უახლოეს დროში გვეცნობება პროექტის განხორციელების ზუსტი ვადები. რაც შეეხება ა(ა)იპ-ებში დასაქმებულ თანამშრომლებს, თითოეული თანამშრომლის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია სამსახურების შიდა რეგლამენტით და ყველა თანამშრომელი, რომელიც მუშაობს სხვადასხვა მუნიციპალურ სტრუქტურაში, მეტ-ნაკლები წარმატებით ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ფეისბუქის ფორმატის ფარგლებში, კონკრეტული პირების საქმიანობის განხილვა, არც თქვენი და არც მერიის მხრიდან, მიზანშეწონილი არ არის.

- გიორგი: მოგესალმებით ბატონო გიორგი,როგორც იცით,ბორჯომის ქ. 64 ში (წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძართან) მდებარე კორპუსის ეზო ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, მაინტერესებს, როდის იგეგმება აღნიშნული ეზოს კეთილმოწყობა?

- გიორგი გურასპაშვილი:

– თქვენი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს მოასფალტების/კეთილმოწყობის პროექტირება მიმდინარეობს და სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია 2019 წლიდან.

- ზაირა დევდარიანი:

რატო არ კეთდება მშვიდობის კუჩაზე სურამულის სანაპირო? რამოდენიმეჯერ შემოვარდა მდინარე.სულ შიშის ქვეშ ვართ..

- გიორგი გურასპაშვილი: მდინარე სურამულას ნაპირსამაგრი სამუშაოები დაგეგმილია და ეტაპობრივად მიმდინარეობს 42 კილომეტრიან მონაკვეთზე. მათ შორის, დაგეგმილია მშვიდობის ქუჩის მონაკვეთის ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება.

- ვასილ დეკანოიძე:

–კარლო ტაბატაძის ქუჩაზე არ არის წყალი 30 წელია .. იქნებ რამე ეშველოს..

- გიორგი გურასპაშვილი:

–პრობლემის მოგვარების შესაძლებლობები განხილული იქნება “გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან” და მიღწეული შედეგების შესახებ გეცნობებათ უახლოეს პერიოდში.

- ჯოტო ლაბაძე:

–ბატონო გიორგი,თუ შესაძლებელია,დაგვიდგინეთ,რატომ არ გვეძლევა ცოცხნარის ტერიტორიული ორგანოს ექვს სოფელს ავტობანზე შესასვლელი, მით უმეტეს, რომ ის ორი მიმართულებიდან გადაკვეთს ჩვენს სოფლებში შემომავალ გზას.

- გიორგი გურასპაშვილი:

–ბატონო ჯოტო, როგორც მოგეხსენებათ, აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა საქართველოს მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის სივრცითი განვითარების კომპონენტის ფარგლებში ხორციელდება.ავტობანი „აღმოსავლეთი–დასავლეთის“ პროექტი ხორციელდება ევროპის საინვესტიციო ბანკის, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, საერთაშორისო თანამშრომლობის იაპონიის სააგენტოსა (JICA) და ჩინეთის განვითარების ბანკის (CDB) მხარდაჭერით. ავტომაგისტრალი გადაკვეთს ან უკავშირდება საქართველოს ბევრ სოფელს, აქედან გამომდინარე, სოფლებთან დამაკავშირებელი გზების საკითხის განხილვა მოხდება კომპლექსურად.

- მარიამ მახათაძე:

–გამარჯობათ ბატონო გიორგი, არჩევნების დროს, თქვენ მოსახლეობას შეპირდით, რომ ყოფილი რძის ქარხნის ტერიტორიაზე, კერძოდ, ვაჟა ფშაველას ქუჩაზე გააკეთებდით სკვერს და შეპირება შეპირებად დარჩა და რას აპირებთ?

გიორგი გურასპაშვილი:

–ქალბატონო მარიამ, საარჩევნოდ მოსახლეობასთან შეხვედრების დროს გამოკვეთილი ინიციატივები, სამწუხაროდ, ერთბაშად ვერ განხორციელდება, თუმცა, ყოფილი რძის ქარხნის ტერიტორიაზე დასასვენებელი სკვერის მოწყობის შესაძლებლობა განიხილება უახლოეს თვეებში.

მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პატარებს უკვე 18 საბავშვო ბაღი ემსახურება

ახალი სასწავლო წელი საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვისაც დაიწყო. ხაშურის საბავშვო ბაღების გაერთიანებამ ენერგიითა და ახალგარემონტებულ-რეაბილიტირებული საბავშვო ბაღებით დაიწყო ეს სასწავლო წელი. მოგეხსენებათ, ჩვენს მუნიციპალიტეტში ერთმანეთის მიყოლებით იხსნება ახალი საბავშვო ბაღები, რომელიც ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, მშობლებისთვის და მათი პატარებისთვის კი კომფორტულ გარემოს. ,,ხაშურის მოამბის“ რედაქცია საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელს **დავით ნოზაძეს** ესტუმრა, რომელთანაც მიმდინარე სიახლეებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

- ბატონო დავით, რამდენი საბავშვო ბაღის აღსაზრდელი მიიღო, წელს,

საბავშო ბაღების გაერთიანებამ?

– პირველ რიგში, მინდა, ახალი სასწავლო წლის დაწყება მივულოცო პატარებს, მათ მშობლებს და მასწავლებლებს. ვუსურვებ მათ, რომ აღზრდის პირველმა ეტაპმა წარმატებით განვლოს. ახალ სასწავლო წელს, საბავშვო ბაღებმა 700-მდე ახალწვეულ აღსაზრდელს უმასპინძლეს. საერთო ჯამში, სულ, 2000-მდე ბავშვი ირიცხება საბავშო ბაღებში.

- რამდენი ბაღი ფუნქციონირებს ხაშურის მუნიციპალტეტში?

– 2012 წლის მონაცემებით, საბავშვო ბაღების რაოდენობა 12 იყო,ამ დროისთვის კი უკვე 18 საბავშვო ბაღია. ეს ციფრი ახალი საბავშვო ბაღების გახსნითაა განპირობებული. 2018 წელს, გაიხსნა ტეზერის, სატივის, წრომის, ქვიშხეთის, ალის, ღუდის დასახლებაში №2 საბავშვო ბაღები. ყველა ზემოაღნიშნული ბაღი ადგილობრივი სახსრებით აშენდა და გარემონტდა, გარდა, №7 საბავშვო ბაღისა, რომელსაც მუნიციპალური განვითარების ფონდის თანადაფინანსებით ჩაუტარდა რეაბილიტაცია. უკლებლივ ყველა საბავშვო ბაღი აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით: ავეჯით, ჭურჭლით, სათამაშოებით და ა.შ.

- რამდენად კვალიფიციური კადრი ემსახურება საბავშო ბაღებს?

– კადრები, რა თქმა უნდა, მაღალკვალიფიციურები არიან და შეირჩნენ კონკურსის საფუძველზე. თუმცა, სამომავლოდ, მოხდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება და დასამტკიცებლად წარედგინება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, შესაბამისად, კონკურსის ჩატარება საჭირო აღარ იქნება.

- რამდენად ჯანსაღი საკვებია საბავშო ბაღებში?

– საბავშო ბაღებს ეკოლოგიურად სუფთა საკვები მიეწოდება. წლის დასაწყისში ცხადდება ტენდერი, რომლის საფუძველზეც გამარჯვებული კომპანიები სურსათს აწვდიან საბავშვო ბაღებს. ამ ეტაპზე 4 კომპანიაა, რომელიც ბაღებს ამარაგებს ხორცით, რძის პროდუქტებით, პურით და ა.შ, ესენია: ინ/მ მამუკა ჭადაშვილი, შპს „საბა”, ინ/მ თამაზ ლომიძე და შპს. „ოშხინელი და ვაუები”.

- ახალი ბაღების დამატება თუ იგეგმება სამომავლოდ?

– დიახ, იგეგმება სურამში ახალი საბავშვო ბაღის აშენება, გამომდინარე იქიდან, რომ დაბაში, მხოლოდ ერთი ფუნქციონირებს, ერთი საბავშო ბაღის აშენებას ხაშურშის ცენტრის ტერიტორიაზე ვგეგმავთ. სანახევროდაა გარემონტებულ გომის საბავშვო ბაღი, რომელსაც აუცილებლად დავასრულებთ. სამომავლოდ ვგეგმავთ ასევე ერთ ცვლილებასაც, მართალია ფინანსებთანაა დაკავშირებული, თუმცა, შევეცდებით, დავამატოთ მეორე ცვლის მასწავლებლები, რომლებიც 7 საათამდე იმუშავებენ.

თინა ახალკაცი

გუბერნატორი ქვიშხეთის მოსახლეობას შეხვდა



ამ დღეებში, შიდა ქართლის გუბერნატორი ქავიშხეთში მოსახლეობას და დამსვენებლებს შეხვდა და მათ საჭიროებებს გაეცნო.

ქვიშხეთი საკურორტო ზონაა და შესაბამისად, ზაფხულის პერიოდში ხალხმრავლობით გამოირჩევა. გუბერნატორის თქმით, მისთვის მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლების, ისე დამსვენებლების მოსაზრებებისა და საჭიროებების გაცნობა.

რწმუნებულმა, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად, ადგილზე იმსჯელა გამოკვეთილი საკითხების გადაჭრის გზებზე და ასევე, დაგეგმა მუნიციპალიტეტების სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრა, რათა შესაბამის სამსახურებს გააცნოს შეხვედრაზე დასმული საკითხები და ერთობლივად მოხდეს გადაჭირს გზების მოძიება.

გიორგი ხოჯევანიშვილმა ქვიშხეთში, სასტუმროს მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებიც დაათვალიერა. „მსგავსი ტიპის ობიექტების მშენებლობა ხელს შეუწყობს როგორც რეგიონის საკურორტო ზონების პოპულარიზაციას, ისე ტურიზმის განვითარებას. ამავდროულად, მაგალითი იქნება კერძო სექტორისთვის, მაქსიმალურად აითვისონ რეგიონის საკურორტო ზონებში და ინვესტიციები განახორციელონ მომსახურების სფეროში“ - აღნიშნა გუბენატორმა.

პატარები ახალ გარემოში ისწავლიან

ხაშურში, №2 სააღმზრდელო დაწესებულება მერმა გიორგი გურასპაშვილმა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად საზეიმო ვითარებაში გახსნა.

მუნიციპალიტეტის პირველმა პირმა ბაღის პედაგოგებს, აღსაზრდელებს და აღსაზრდელების მშობლებს სასწავლო პროცესის დაწყება მიულოცა, წარმატებული წელი უსურვა. „იმედი გვაქვს ჩვენს პატარებს ძალიან მოეწონებათ აღნიშნული გარემო, რაც სასწავლო პროცესს და მათ სწავლა-განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს“- აღნიშნა მან.

შენობა, რომელიც თანამედროვე სტანდარტებს პასუხობს, მთლიანად ახალი ინვენტარითაა აღჭურვილი.

ჯორჯაძის ქუჩაზე, სკოლის ფართობში, საბავშვო ბაღის მოწყობის სამუშაოები, მუნიციპალიტეტის მერიამ, ადგილობრივი მაცხოვრებლების საჭიროებიდან გამომდინარე განახორციელა. პროექტი მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და ჯამში 100 000 ლარი შეადგინა.

ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა მადლობა გადაუხადეს მერს გიორგი გურასპაშვილს, საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილს, საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორს დავით ნოზაძეს და მუნიციპალიტეტის მთელ ხელმძღვანელობას მომავალ თაობებზე ზრუნვისთვის და მათი სააღმზრდელო პირობების გაუმჯობესებისთვის.

პარალელურად, 17 სექტემბერს, მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, წრომის მაჟორიტარ დეპუტატ ემზარ მურჯიკნელთან ერთად, წრომის ადმინისტრაციულ ერთეულში სააღმზრდელო დაწესებულება გახსნა.

მუნიციპალიტეტის მერმა სააღმზრდელო პროცესის დაწყება მიულოცა წრომელ პატარებს და იმედი გამოთქვა, რომ არსებული გარემო მათთვის საყვარელი ადგილი გახდება.

მერთან ერთად ადგილზე იმყოფებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი, საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი დავით ნოზაძე, მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირები და ადგილობრივი პერსონალი.

სოფელში ამ დრომდე მხოლოდ ალტერნატიული საბავშვო ბაღი ფუნქციონირებდა, სადაც პატარების დატოვება შუადღემდე იყო შესაძლებელი, ამჯერად კი სააღმზრდელო დაწესებულება ყველანაირ სტანდარტს უპასუხებს და ბავშვების აღზრდა- განათლებისთვის სათანადო პირობებს შექმნის.

შენობასთან ერთად მოწყობილია გარე ინფრასტრუქტურა, დაგეგმილია ეზოს გამწვანება.

სამუშაოების შესასრულებლად ადგილობრივმა თვითმმართველობამ ჯამში დაახლოებით 67 000 ლარამდე გამოყო.

ახალი საბავშვო ბაღი საზეიმოდ გაიხსნა

შიდა ქართლის გუბერნატორი გიორგი ხოჯევანიშვილი ხაშურში, №7 საბავშვო ბაღის გახსნას დაესწრო და მასწავლებლებს და აღსაზრდელებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა. „გილოცავთ პედაგოგოებს, საბავშვო ბაღის ადმინისტრაციას, მშობლებს და რაც მთავარია, პატარა აღსაზრდელებს ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად, ახალ საბავშვო ბაღს. ამიერიდან, სასწავლო პროცესს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ შენობაში გააგრძელებთ, სადაც პატარების კომფორტისა და განვითარებისვთის ყველა პირობაა შექმნილი. სრულფასოვანი გარემო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჯანსაღი და ბედნიერი ბავშვების აღსაზრდელად.“ - აღნიშნა ხოჯევანიშვილმა.

ამიერიდან, საბავშვო ბაღში 6 ჯგუფი იფუნქციონირებს და 200-მდე აღსაზრდელს მოემსახურება. სააღმზრდელო დაწესებულებას რეაბილიტაცია 30 წელზე მეტია არ ჩატარებია.

საოჯახო კინოთეატრი - საჩუქრად

საქველმოქმედო კონცერტზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, მერიის სახელით, „მომავლის სახლის“ ბენეფიციარებს საოჯახო კინოთეატრი გადასცა.

„ჩვენ ერთად ვაშენებთ მომავლის სახლს“ ამ სახელწოდებით გაიმართა ღონისძიება, ხაშურის ცენტრალურ პარკში, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დასახმარებლად გაიმართა.

კონცერტში მონაწილეობდნენ ადგილობრივი და მოწვეული შემსრულებლები.

კონცერტის ორგანიზატორმა გივი ლიჩელმა მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერიას თანადგომისთვის.

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს 800-მდე პირველკლასელი ჰყავთ

17 სექტემბერს 2018-2019 სასწავლო წელი დაიწყო. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები სრულიად მომზადებულნი შეხვდენენ სასწავლო წლის დაწყებას. პირველკლასელებისათვის კი ყველა განსაკუთრებულად მოემზადა. ნათელი საკლასო ოთახები, მოხერხებული მაგიდები, ვიზუალურად ლამაზად გაფორმებული კედლები, ბავშვებში დამატებით სტიმულს ბადებს და მაღალკვალიფიციური პედაგოგების მიერ დამოძღვრილნი, ისინი პირველ ნაბიჯებს დგამენ ცოდნის სამყაროში.

გზა დაულოცოთ ამ პატარებს!

სურათზე: სურამის მესამე საჯარო სკოლის პირველკლასელები, პედაგოგი მანანა ავალიშვილი.

მ. სალაღაიას ფოტო

- რაგბი -

სურამის "მგლები" ჯგუფის ლიდერია

სულ რამდენიმე დღეა, რაც რაგბში, „ბ" ლიგაში, 2002-2003 წლებში დაბადებულთა შორის, საქართველოს ჩემპიონატი დაიწყო – ლიგა ორ ჯგუფათაა დაყოფილი და დასავლეთის და აღმოსავლეთის გუნდები ცალ-ცალკე ასპარეზობენ. თითოეულ ჯგუფში გამარჯვებული ორ-ორი გუნდი კი შემდეგ წრეში გადადის, სადაც უკვე პლეი-ოფის პრინციპით გაარკვევენ ჩემპიონის ვინაობას.

სურამის „მგლებს" სულ ოთხი წლის ისტორია აქვს. მას თავიდანვე გამოცდილი სპეციალისტი კახა აბრამაშვილი ჩაუდგა სათავეში და, ფაქტობრივად, ნულიდან დაიწყო. არ იყო ტრადიცია, არ იყო ბაზა.. იყო მხოლოდ ენთუზიაზმი და რაგბის, ამ მართლაც საოცარი და ულამაზესი სპორტის, უსაზღვრო სიყვარული. და თუ დღეს, სურამში, ათეულობით მოზარდი ვარჯიშობს, ეს სწორედ მისი დამსახურებაა. ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ წინ და დღეს, უკვე სურამს, საქართველოს რაგბის რუკაზე, თავისი გამორჩეული ადგილი აქვს. ერთ ნახვად ღირს, როდესაც ამდენი ბავშვი, თავის მწვრთნელთან ერთად, როგორი მონდომებით ვარჯიშობს. რა თქმა უნდა, ამ ხნის მანძილზე, გამოცდილებაც დაგროვდა და ოსტატობაც დაიხვეწა. ბუნებრივია, შედეგმაც არ დააყოვნა და აგერ, სურამის „მგლები", „ბ" ლიგაში, ჯგუფის ლიდერებიც არიან. უკვე ორი ტური მიილია და „მგლებს" 9 ქულა აქვთ. თან ისე, რომ საკუთარ კარში ჯერ ბურთი არ მიუღიათ. საერთო შეფარდება 55:0-ზეა. განსაკუთრებით მეორე მატჩში იფრინეს „მგლებმა", როდესაც ჭიათურელი თანატოლები 44:0 დაამარცხეს. მიუხედავად იმისა, რომ მათ ჯგუფში ერთი თამაში კიდევ დარჩათ, პლეი-ოფის საგზური უკვე გარანტირებული აქვთ, რაც თავისთავად, უკვე წარმატებაა.

გვჯერა, ეს ბიჭები და მათი მწვრთნელი ამაზე არ გაჩერდებიან და თუ ასე გააგრძელეს, არც ჩემპიონობა მოჩანს შორეულ პერსპექტივად.

დავუცადოთ მოვლენების განვითარებას და წარმატებები ვუსურვოთ „მგლებს". იმედია, მათი მიღწევების შესახებ, კიდევ ბევრჯერ მოგვიწევს წერა.

გ. გოგოლაძე

ბეგლარ ელბაქიძის მორიგი მსოფლიო რეკორდი

მოცურავე ბეგლარ ელბაქიძემ აჭარაში მორიგი რეკორდი დაამყარა – მან ბათუმიდან ქობულეთამდე ე.წ. „ზეზელა"სტილით - ვერტიკალური ცურვით, 21 კილომეტრი მანძილი, 13 საათსა და 35 წუთში დაფარა და მის მიერვე დამყარებული რეკორდი გააუმჯობესა.

ცურვის ამ სახეობის დროს არ გამოიყენება ხელები, ლასტები და სხვა საცურაო აღჭურვილობა. ბეგლარ ელბაქიძეს ორივე ხელში დროშა ეჭირა და ასე დაფარა ცურვით დისტანცია ბათუმიდან ქობულეთამდე.

ბეგლარ ელბაქიძეს ხაშურის მერიაში შეხვდნენ მერის მოადგილე ზურაბ ჩხიტუნიძე და მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის წარმომადგენლები. მათ მიულოცეს რეკორდსმენს სპორტული მიღწევა და შემდგომი წარმატებები უსურვეს. თავის მხრივ, ბეგლარ ელბაქიძემ მადლობა გადაიხადა იმ ფინანსური მხარდაჭერისთვის, რაც მას მუნიციპალიტეტის მერიამ რეკორდის წინამოსამზადებელი სამუშაოების წარმართვისას აღმოუჩინა.

ბეგლარ ელბაქიძე ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ გომიდანაა. „ზეზელა" - ვერტიკალური ცურვა, ხელების გამოყენების გარეშე, მან ჯერ კიდევ ბავშვობაში, მდინარე მტკვარში ისწავლა.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.